სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 31 მარტის სხდომის

ოქმი №4

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 18

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო ფორუმისთვის მონაწილეთა შერჩევა
   მომხს: ნ. მაჭარაშვილი

2. ახალი სამაგისტრო პროგრამის "დემოგრაფია და მიგრაცია" განხილვა
   მომხს: გ. გოგსაძე

3. ბაკალავრიატის სტუდენტ თამარ ქარელის განცხადების განხილვა
   მომხს: თ. მახარაძე

მოისმინეს: 1. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმისთვის მონაწილეთა შესარჩევი კომისიის მუშაობის შედეგები წარმოადგინა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა ნ. მაჭარაშვილმა

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, მ. შამილიშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ იქნან:

1. ჯაბა ეროტაძე - დოქტორანტი;
   ნაშრომი: "საქართველოს საპენსიო პოლიტიკა და ალტერნატიული მოდელები"

2. თინათინ ბანძელაძე, თამარ ჩხაიძე - მაგისტრანტები;
ნაშრომი: "სტიგმის უარყოფითი გავლენა აკადემიურ მიღწევებზე ეთნიკურ უმცირესობებში"

3. მარიამ ღრეული, ბარბარე გეთია - ბაკალავრიატის სტუდენტები;
ნაშრომი: "ავტორიტეტის გავლენა სამუშაოს შესრულებაზე"

მოისმინეს: 2. ახალი სამაგისტრო პროგრამა "დემოგრაფია და მიგრაცია" განსახილველად წარმოადგინა საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორმა გ. გოგსაძემ (პროგრამის ელ-ვერსია ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, ზ. დავითაშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამა "დემოგრაფია და მიგრაცია" წარმოდგენილი სახით და ეთხოვოს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს 2014-2015 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების დამტკიცებულ ანკეტა-კითხვარში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება.

მოისმინეს: 3. ბაკალავრიატის სტუდენტ თამარ ქარელის განცხადება საბჭოს წევრებს გააცნო დეკანის მ. შ. თ. მახარაძემ. სტუდენტი ითხოვს დამატებითი სემესტრის გადასახადის თსუ-ის მიერ დაფარვას, ვინაიდან თვლის, რომ ტუტორმა არასათანადოდ განუმარტა და დაუთვალა კრედიტების ოდენობა. ის მძიმე სოციალური პირობების გამო, ვერ იხდის თანხას.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. ტალახაძემ დას ხვ.

დაადგინეს: ეთხოვოს თსუ-ის ადმინისტრაციას თამარ ქარელისთვის დამატებითი სემესტრის 10 კრედიტის შესაბამისი თანხის გადახდა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

სხდომის მდივანი: მარი წერეთელი, ასოცირებული პროფესორი

31 მაისი, 2014 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. თამარ მახარაძე

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. ალექსანდრე რონდელი
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

13. რევაზ ჯორბენაძე
14. გუგული მაღრაძე
15. თამარ გაგოშიძე
16. ია კუტალაძე
17. ხათუნა მარწყვიშვილი
18. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

19. მარიამ გერსამია
20. დალი ოსეფაშვილი
21. მარი წერეთელი
22. მანანა შამილიშვილი
23. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

24. რევაზ გაჩეჩილაძე
25. თამარ დოლბაია
26. გიორგი გოგსაძე
27. იოსებ სალუქვაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

28. ლევან ჩოხელი
29. შალვა საბაური
30. ბექა დადეშქელიანი
31. გიორგი ყიფშიძე
32. თეონა კვანჭიანი
33. გიორგი კაკაურიძე
34. ნესი კუპრეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტური სამეცნიერო ფორუმის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საკონკურსო კომისიის 31.03.2014 სხდომის

ოქმი N–2

დღის წესრიგი:

1. დოქტორანტის ნაშრომის რეცენზიების შეჯამება;
2. მაგისტრატურის და ბაკალავრიატის სტუდენტების ნაშრომების შერჩევა.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის 1 წევრი.

მოისმინეს 1. ქალბატონმა ნანა მაჭარაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დოქტორანტ ჯაბა უროტაძის რეცენზენტების ქულები.
დაადგინეს: რადგან ქულების საშუალო არითმეტიკული აღემატება კომისიის მიერ დადგენილ მინიმალურ ზღვარს (85 ქულა), ჯაბა უროტაძის ნაშრომი წარდგეს ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტურ სამეცნიერო ფორუმზე.

მოისმინეს 2. ქალბატონმა ნანა მაჭარაშვილმა დააყენა საკითხი, ჩატარდეს ხმის მიცემის პროცედურა ბაკალაბრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ნაშრომები შესარჩევად.
დაადგინეს: ხმათა უმრავლესობის მიხედვით, ფორუმზე ფაკულტეტი წარადგინონ სტუდენტებმა:

1. თინათინ ბანძელაძე, თამარ ჩხაიძე, მაგისტრანტები: „სტიგმის უზარყოფითი გავლენა აკადემიურ მიღწევებზე ეთნიკურ უმცირესობებში;
2. მარიამ ღრეული, ბარბარე გეთია, ბაკალავრიატის სტუდენტები: „ავტორიტეტის გავლენა სამუშაოს შესრულებაზე";

საკონკურსო კომისიის სხდომის დამსწრე წევრები:

ნანა მაჭარაშვილი, კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

ფიქრია ასანიშვილი, კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი

თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

რევაზ ჯორბენაძე, სრული პროფესორი

გიორგი გოგსაძე, სრული პროფესორი

31.03.2014

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია
სამაგისტრო პროგრამა – დემოგრაფია და მიგრაცია

ა) პროგრამის სახელწოდება – დემოგრაფია და მიგრაცია (Demography and migration)

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია – სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, დემოგრაფიაში (Master of social sciences, in Demography)

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა – ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე – სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატის დამთავრებულთათვის, ვინც გადაწყვეტს ახალ პროფესიად დემოგრაფიის არჩევას. საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, გამწვავებული დემოგრაფიული პრობლემების გამო აუცილებელი ხდება დემოგრაფიული პროცესების არამარტო სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი მართვა. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ამ სფეროსათვის მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი კადრების მომზადების მწვავე აუცილებლობას. უფრო მეტიც, პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე დემოგრაფიული განათლების გარკვეული დონე ყველა სფეროს სპეციალისტისათვის ისევე აუცილებელი გახდა, როგორც სხვა ჰუმანიტარუილი საგნების ცოდნა. ამიტომაც, პროგრამის მიზანია ქვეყანაში მოამზადოს კვალიფიციურ დემოგრაფთა კადრები. სწორედ ამ მიზნით პროგრამა შეძლებს მაგისტრანტებს გააცნოს და შეასწავლოს დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირიბადი თეორიები და დებულებები, დემოგრაფიული ცნებები, კატეგორიები და კანონები, აგრეთვე გააცნოს მსოფლიოში მიმდინარე ინტენსიური მიგრაციული პროცესები მათი გეოგრაფია, მიმართულებები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები. პროგრამის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ხედვა თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიის როგორც დამოუკიდებელ საზოგადოებრივი მეცნიერებების სისტემის როლისა და მზარდი მნიშვნელობის შესახებ. დემოგრაფიულ მეცნიერებათა სწავლება მნიშვნელოვნად ფართოვდება, როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის ქვეყნების უნივერსიტეტებში. აქედან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მაგისტრებს შესძინონ კომპეტენცია კაცობრიობის განვითარებაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ;
- მოსახლეობის განვითარების თავისებურებების შესწავლა დინამიკაში, როგორც მსოფლიო ასევე რეგიონული და ცალკეული ქვეყნების ჭრილში;
- ჩამოუყალიბოს მაგისტრანტებს წარმოდგენა დემოგრაფიული სფეროს, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებთან ურთიერთკავშირის სისტემაზე;
- უაღრესად მნიშვნელოვანია მიგრაციული პროცესების (მათ შორის კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ასპექტების შესწავლა და გაანალიზება;
- თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობათა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების შესწავლა, გაანალიზება, როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე და სამომავლო ჭრილში;
- პროგრამის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშაოს ჰუმანიზმის დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების ცოდნა და პატივისცემა;
- სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება როგორ მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს დემოგრაფიული და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია. შეიმუშაოს დემოგრაფიული განვითარებისა და მიგრაციული პროცესების მართვისთვის საჭირო რეკომენდაციები;

სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელება შეეძლებათ დოქტორანტურაში. მათ მუშაობა შეეძლებათ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, კერძო სექტორში, ბიზნეს სტრუქტურებში. აღნიშნულ დაწესებულებებში მათ შეეძლებათ მოახდინონ მიმდინარე ურთულესი დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების მონიტორინგი, ანალიზი და პროგნოზირება, მოდელირების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით. პროცესების ამგვარი ანალიზი, პროგნოზირება და მოდელირება კი, სულ უფრო აქტუალური ხდება სოციალური, ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური პროფილის ყველა დაწესებულების, ორგანიზაციისა თუ კომპანიისათვის. ეს გარემოება უსათუოდ ბადებს და მომავალში კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ პროფესიონალ დემოგრაფებზე.

3) **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დემოგრაფიისა და მიგრაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებას განსაკუთრებული წინაპირობები არ გააჩნია. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველი უნდა იყოს ბაკალავრის ხარისხის მქონე, ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელმაც უნდა ჩააბაროს წერითი საერთო-ეროვნული გამოცდები უნარ-ჩვევებში და ზეპირი გასაუბრება სპეციალობაში. ამასთან სასურველია მაგისტრანტი ფლობდეს უცხო ენას, როგორც მინიმუმ B2-ის დონეზე.

ზ) სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება, როგორ მოიპოვოს, დაამუშაოს და გააანალიზოს დემოგრაფიული ინფორმაცია, როგორ იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან. მაგისტრს ექნება საკმარისი კომპეტენცია, რათა მალე გაიაროს ადაპტაცია თავის მომავალ სამუშაო ადგილზე. გარდა ამისა, მას ექნება სპეციალური ცოდნა, რომელიც წინამდებარე სამაგისტრო პროგრამის გავლამდე მიიღო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს მისი, როგორც პროფესიონალი დემოგრაფის ჩამოყალიბებას. გააცნობიერებს დემოგრაფიული პროცესების როლს საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. შეძლებს განახორციელოს მონიტორინგი, გააანალიზოს თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია და შეიმუშაოს პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრს ექნება ფართო წარმოდგენა და საფუძვლიანი ცოდნა ძირითადი, თანამედროვე დემოგრაფიული კონცეფციებისა და პარადიგმების შესახებ, რაც მას დაეხმარება სწორი წარმოდგენა შეიქმნას მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიულ და მასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე. ხელეწიფება საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციების სწორად გაგება და შეფასება, გაცნობიერებული ექნება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების როლი ქვეყნის დემოგრაფიული და ჰარმონიული ტერიტორიული განვითარების პროცესში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება /პრაქტიკული უნარები	თეორიულ ცოდნასთან ერთად კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი კომპეტენცია იმისთვის, რომ პროგრამის დასრულებისთანავე სრულფასოვნად ჩაერთოს თავის მომავალ პროფესიულ საქმიანობაში, სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო სექტორში, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. მას შეეძლება დისკუსიებში და მსჯელობებში მონაწილეობა, ექნება კრიტიკული აზროვნების, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში თანამშრომლობის უნარი. შეეძლება სამეცნიერო პროდუქციის შექმნა, წარმოდგენა და გამოყენება.
ზოგადი/ტრანსფერული უნარები	გამართულად წერისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. დემოგრაფიული ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციის, ვიზუალიზაციისა და ანალიზის უნარი. ინფორმაციის წყაროთა განსაზღვრისა და მონაცემთა სანდოობის შეფასების უნარი. ახალი ცოდნისა და ღირებულებების ათვისებისა და გენერირების უნარი. პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

კომუნიკაციის უნარი	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის შესაძლებლობა, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.
დასკვნის უნარი	რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ლოგიკური დასკვნების გაკეთებას.
სწავლის უნარი	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებასა და მის სტრატეგიულ დაგეგმვას; ასევე ცოდნის განახლებასა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებას.
ღირებულებები	კურსდამთავდებული გააცნობიერებს ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ღირებულებათა ურთიერთმიმართებას, ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობას. პრაქტიკულ მუშაობაში ის დაამკვიდრებს ისეთ ღირებულებებს როგორიცაა: პროფესიული ეთიკა, კულტურული ტოლერანტობა, თანამშრომლობა, სამართლიანობა, მეცნიერული კეთილსინდისიერება და ადამიანის უფლებების პატივისცემა.

თ) სწავლის შედეგის მიღწევის მეთოდები:

- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- სასწავლო მასალაზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი: მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ესსეს შესრულება და ა.შ.
- დისკუსია, თემების ჯგუფური ანალიზის მეთოდი
- შედარებითი ანალიზის მეთოდი
- სისტემური მიდგომის მეთოდი
- სტატისტიკური ანალიზის მეთოდი

ი) **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შეფასება ხორციელდება ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასების გრადაცია შემდეგნაირია:

100–91	ფრიადი, A
90–81	ძალიან კარგი, B
80–71	კარგი, C
70–61	დამაკმაყოფილებელი, D
60–51	საკმარისი, E
50–41	ვერ ჩაბარა, FX (სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება)
40-0	ჩაიჭრა, F (სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი)

კ) **სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით:** (იხ. დანართი)

სამაგისტრო პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადიდან კონკრეტულისაკენ სწავლების ფორმას. სტუდენტები იწყებენ ზოგადი საგნების შესწავლით, ხოლო შემდეგ აგრძელებენ კონკრეტული დისციპლინების უფრო ღრმა და დაკონკრეტებული სწავლებით. პირველ სემესტრში სტუდენტებს შევთავაზებთ უპირატესად საბაზო დისციპლინებს, რომელთა დაუფლება ხელს შეუწყობს მომდევნო ორი სემესტრის საგანთა უკეთ ათვისებასა და დემოგრაფიისა და მიგრაციის ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების გარკვევას, ხოლო ბოლო, მეოთხე სემესტრში სტუდენტებმა, უნდა დაწერონ და დაიცვან სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი), დემოგრაფიული ან მიგრაციული ხასიათის პრობლემატიკიდან, მეცნიერ ხელმძღვანელის დახმარებით შერჩეული თემის სახით.

ლ) **პროგრამის ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები /კოორდინატორი:**

რეზო გაჩეჩილაძე: ხელმძღვანელი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ვაჟა ლორთქიფანიძე: თანახელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი

მ) **დასაქმების სფეროები:** **პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებელთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად:** საქართველოში არსებობს, როგორც სახელმწიფო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, სამეცნიერო დაწესებულებები), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო, მსხვილი ბიზნეს-კომპანიები, რომელთაც უკვე

დღეს სჭირდებათ და მომავალში კიდევ უფრო დასჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ მოსახლეობის განვითარების, მათ შორის სულ უფრო მზარდი მიგრაციული პროცესები. ამიტომაც დემოგრაფიისა და მიგრაციის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებას.

6) დამატებითი ინფორმაცია: საჭიროებისას უნდა მიეთითოს რომელი სემესტრიდან არის რეკომენდებული პროგრამაზე სწავლის დაწყება, რომელ დამატებით პროგრამასთან კომბინირება არის სასურველი, სტუდენტთა რა რაოდენობის მომსახურება შეუძლია პროგრამას და სხვ. – სწავლის დაწყება რეკომენდებულია შემოდგომის სემესტრიდან. პროგრამას შეუძლია ყოველწლიურად მოემსახუროს 7-10 სტუდენტს. ცოდნასა და უნარებზე ორიენტირებული სამაგისტრო პროგრამა – დემოგრაფია და მიგრაცია, ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებში. დემოგრაფიისა და მიგრაციის, როგორც პროფესიის დაუფლება უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება სამაგისტრო პროგრამების მეშვეობით, მათ შორის იმ ბაკალავრებისათვის, ვისაც ეს დისციპლინები საუნივერსიტეტო განათლების პირველ საფეხურზე არ შეუსწავლია. წინამდებარე პროგრამა არ არის მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მიმდინარე ანალოგიური ხასიათის პროგრამების ზუსტი ანალოგი, მაგრამ მსგავსი პროგრამები ხორციელდება ბევრ უნივერსიტეტში (კალიფორნიის უნივერსიტეტი - http://www.demog.berkeley.edu/acadprograms/demogprogram.html; ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი - http://www.fsu.edu/~popctr/programs/masters.html; პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი - http://www.pop.psu.edu/general/dual-degree/dual-degree.htm; მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი – http://www.demostudy.ru/magistr.htm; სტოკჰოლმის უნივერსიტეტი – http://www.suda.su.se/courses sub master.asp; ავსტრალიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი - http://adsri.anu.edu.au/study/gradcert.php).

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ინსტიტუტი /დეპარტამენტი /კათედრა /მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: „დემოგრაფია და მიგრაცია“
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები: რევაზ გაჩეჩილაძე: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი; ვაჟა ლორთქიფანიძე: თანახელმძღვანელი პროფესორი, საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი

პროგრამის სტრუქტურა
120 კრედიტი (ECTS)

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლის სემესტრი		ლექტორი
			ლექცია	სემინარი	ლექცია-სემინარისთვის მომზადება	შუალედური გამოცდის/ გამოცდებისათვის მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	სავალდებულო საგნები											
1	დემოგრაფია 1	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	+	–	პროფ. ა. თოთაძე
2	დემოგრაფია 2	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	–	+	პროფ. ა. თოთაძე
3	დემოგრაფიული სტატისტიკა 1	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
4	დემოგრაფიული სტატისტიკა 2	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	–	+	ასოც. პროფ. ა. სახვაძე

5	დემოგრაფიული ანალიზი	5	30	15	25	10	9	1	დემოგრაფია	–	+	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
6	მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	+	–	პროფ. ი. იაშვილი
7	განვითარების გეოგრაფია	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ვ. მელიქიძე
8	მათემატიკური მეთოდები და მოდელირება დემოგრაფიაში	5	30	15	25	10	9	1	დემოგრაფიული სტატისტიკა	+	–	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
9	საქართველოს მოსახლეობა 1	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	+	–	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
10	საქართველოს მოსახლეობა 2	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	–	+	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
11	აკადემიური წერა	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	+	–	ასისტ. პროფ. ხ. მარწყვიშილი
12	სოციალური კვლევის მეთოდები	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	+	–	პროფ. ი. კაჭკაჭიშვილი
13	ინგლისური ენა 1	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	+	-	
14	ინგლისური ენა 2	5	15	15	25	10	8	2	ინგლისური ენა 1	-	+	
	არჩევითი საგნები (შემოთავაზებული არჩევითი 30 კრედიტიდან სტუდენტი ვალდებულია დააგროვოს 20 კრედიტი)											
1	მოსახლეობის განვითარების კონცეფციები	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	+	–	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
2	დემოგრაფიული პოლიტიკა	5	30	15	25	10	9	1	დემოგრაფია	+	–	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
3	კავკასიის მოსახლეობა	5	30	15	25	10	9	1	არ აქვს	+	–	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
4	რეგიონების მოსახლეობის გეოგრაფია	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	–	+	ასისტ. პროფ. გ. კვინიკაძე
5	მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები	5	15	15	25	10	8	2	დემოგრაფია	+	–	პროფ. რ. გაჩეჩილაძე
6	მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია	5	15	15	25	10	8	2	არ აქვს	–	+	ასოც. პროფ.

												თ. დოლბაია
	სამაგისტრო ნაშრომი	30										
	სულ	**120**										

პროგრამის ხელმძღვანელი (ების) ხელმოწერა ----------

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ----------

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ----------

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ----------

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

ფაკულტეტის ბეჭედი

[illegible] ეროვნული ბიბ. ბიბლიოთ
ხელმძღვანელი ფილოსოფიის ისტორიის
და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტო-
რის ფილიპეს ბოკოლიშვილის შესახებ
ვიგებ, ქ-ნ თამარ მესხიძეს,
ამავე დოქტორის პოლიტიკის მეცნი
ერებათა VIII სექციის სხდომის
თამარ ქსოვრელის

13 ივნ 2013 1

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ გასულ ივლისში დაამთავრა სექციის სხდომა. ამის შემდეგ, რაც ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართულების დასკვნაში გაკეთდა სამეცნიერო კრებული „დემოკრატია და მოქალაქეობა", რასაც სექციაში ბატონ ემზარი იმავე სახელწოდების საგანი პოლიტიკის მეცნიერებათა მიმართულებაზე ინიციერებ, ეს უკანასკნელი ჩემი ძირითადი სპეციალობაა და პროგრამა თავისებურად ამ საგნის არჩევის (ფაკულტატური კურსის) შემ აუცილებელია ერთ ან ორ ფილოსოფიურ საგნის ჩემს მიმართულებაზე გავლილ. ასევე ბატონ ეროვნულმა, რომ შ კიბანური ავტორიტეტი კომპეტენციის პირს, რომელიც ინფორმაციაა, რომ ეს 5 კუნძული ჩვეულებრივად ჩაშენებულია ჩემს სპეციალობაში. უფრო ახლა ისევ, რომ მის ეროვნულის მიმართულებაზე ფეხოვანი 5 საფეხური ჰქონდა ახალგაზრდობაში. მაშინ ჩნდება კიბანი, თუ მან ასე მაინტერესებს ? ჩაწერილა ავირჩიე ეგეთი საგანი და უნდა რომ ვთქვა, სადმე ფეხვა ულვიანური ავი. თუ გაიხსენებდა ჩემს ბიჭობას, ნახავდა, რომ შ ფიზიკურად მაქვს ინსტიტუციური კულტურის და სექციების ჩოლიბობა ვნებავდა ბინის მონა-ქმბია, ვნებავდა უშუალო გამოთანასწორებია.

რომ ფეხოვანი ძირითად საკითხს, მოგახსენებთ, რომ მის შემდეგ რაც ეროვნულმა ინსტიტუტებმა ამარჩევინა ეს საგანი, სექციის ბოლოს კულტურის ამოიკითხა და ჯამში დაგროვდა 201 კუნძული, შ ეჭვს არ შეიცავს, ეს ფუნდამენტალური საგნის ვაკის შემთხვევაში ფეხოვანი 10 კუნძულიდან, ეს ასევე გარანტირებულია.

მგონია ალბათ, ახალგაზრდობაში მოიცალა ეროვნული გასამეცნიერო ინდივიდუალურად ანიმაციურად ჩემი შემახვევა, რაც ნამდვილ ასევე შემახვევაში ხა-ბარი ფიზიკა დაამტკიცა სექციის ეროვნულ, რომ ხაზგასმით ჩემს ოჯახს ეს ასევე. (ეროვნულ ერა-ერთ ნიმუშად ვარ).

ეს შემახვევაში, თუ არ ფეხმაგრილია ჩემი [illegible]

ჩემმა შვილმა 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აღებული 30 კრედიტის გათვალისწინებით, მიმდინარე სემესტრში აიღო 44 კრედიტი.

როგორც სტუდენტი წარჩინებულია, ამიტომ უნდა დაუშვათ კრედიტები და [illegible] გადავწყვიტოთ ობიექტური ხარვეზები, რის გათვალისწინებით, რომ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს 75 კრედიტის გავლის უფლება აქვს სასწავლო წლის განმავლობაში.

თქვენი გულისხმიერების იმედი მაქვს.

პატივისცემით

თამარ ქარელი
598-18-09-01

12.03.2014